



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 492232910

თარიღი:25/11/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 150

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს ანგარიში 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ანგარიში

ა (ა) ი პ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“, დაფუძნებულია ზოგადსაგანმანათლებლო ინტერესებზე, რომელშიც გაერთიანებულია: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლა და სამხატვრო სკოლა. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში“ ფუნქციონირებად ყველა წრეში სწავლება უფასოა. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ ფინანსდება მუნიციპალიტეტის მიერ 100%-ით.

ჩვენი ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანი და მიმართულებებია: ქალაქის ახალგაზრდობის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა. ბავშვებისა და ახალგაზრდების გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, ეს სწორედ ის პრიორიტეტებია, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი საქმიანობა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“: მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მუშაობაში წარმატებულად დაინერგა მრავალფეროვანი აქტივობები: კონკურსები, გამოფენები, ფესტივალები, სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციები, სპორტული შეჯიბრებები, შეხვედრები გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებთან და ა.შ.

2022 წლის ექვსი თვის მდგომარეობით ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში“ ირიცხებოდა სულ 619 მოსწავლე.

ცენტრის მიზნებიდან გამომდინარე 2022 წლის ექვსი თვის მანძილზე კვლავ განხორციელდა სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამები:

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი ახალგაზრდობის აღზრდისა და განვითარების კომპლექსური დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს მიზნობრივ სოციალურ-კულტურულ საგანმანათლებლო პროგრამებს, მეცადინეობა მიმდინარეობს სპეციალურად შემუშავებული სასწავლო გეგმისა და პროგრამების მიხედვით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში I კვარტალში იყო 17 წრე, გაუქმდა 1 წრე და II კვარტალისთვის დარჩა 16 წრე 362 მოსწავლით.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლმა მონაწილეობა მიიღო რიგ ღონისძიებებში:

1 იანვარი - საკონცერტო დარბაზ „ივერიაში“ ჩატარდა საახალწლო მიუზიკლი „დროის ქვეყანა“, რომელშიც მონაწილეობას იღებდა საბავშვო თეატრის მოყვარულთა, ვოკალური და ბალეტის წრის (ხელ-ლი: ქეთევან ანდრიაძე, ხათუნა ბუაძე და ნათელა ცერცვაძე) მოსწავლეები.

13 იანვარი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის საექტო დარბაზში შემოქმედებითა წრეებმა ჩაატარეს საშობაო კონცერტი „მრავალ ახალ წელს, მრავალ ჟამიერ“ (ხელ-ლი: ქეთევან ანდრიაძე, ხათუნა ბუაძე, ოქროპირ სვანაძე და ნათელა ცერცვაძე).

28 იანვარი - ბორჯომ-ბაკურიანში ჩატარდა საბავშვო სიმღერების ფესტივალი „ჰარირა 2022“ რომელშიც მონაწილეობდა ვოკალური ანსამბლი „ოცნება“ (ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე) ფესტივალმა ხელი შეუწყო ბავშვთა და მოზარდთა ხელოვნების განვითარებას, მათი ნიჭის წარმოჩენას შემოქმედებითი კონტაქტებისა და მეგობრული კავშირების დამყარება-დამტკიცებას.

7 თებერვალი - „ჰელფინგ ფენდის“ ახალი საგანმანათლებლო ონლაინ პრეზენტაციაზე, მონაწილეობდა ეკოლოგიის წრის (ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი) 6 მოსწავლე. პროექტი მოზარდი მოხალისეების ჩართულობას პანდემიის გამოწვევებზე საპასუხოდ ბავშვთა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მოთხოვნით ხორციელდებოდა და მიზნად ისახავდა მოზარდებში კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციას ჰიგიენის ხელშემწყობი ღონისძიებების ჩატარების გზით.

8 თებერვალი - დაწყებითი განათლების წრემ (ხელ-ლი: თამარ ხურცია) დავით აღმაშენებლის დღისადმი მიძღვნილი ღია საწრეო მეცადინეობა ჩაატარა „ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო“.

14 მარტი - დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ლიტერატურულ- მუსიკალური კომპოზიცია (ხელ-ლი: ქეთევან ანდრიაძე და ხათუნა ბუაძე) „გაზაფხული, დედა და სიყვარული“.

21-22 მარტი - ეკოლოგიის წრის ხელმძღვანელობით (ხელ-ლი: ცირა ბერეკაშვილი) წყლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა ბაღდათში.

4 აპრილი საქველმოქმედო კონცერტი მარტვილში „ძალა ერთობაშია“ ვოკალის წრე (ხელ-ლი: ხ.ბუაზე).

9 აპრილი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია „მადლობა თავისუფლებისათვის“ (ხელ-ლი: ო.სვანაძე ხალხურ საკრავთა წრის ხელ-ლი: თეიმურაზ თევზაძე).

13 აპრილი - ქუთაისში, იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ჭადრაკის წრის მოსწავლეებმა (ხელ-ლი: ა. გოლეტიანი).

13-14 აპრილი - დედაენის დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური თამაში და ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ერის საგანძური“ (ხელ-ლი: ხ.ბუაძე; ქ.ანდრიაძე)

16 აპრილი საქართველოს ჩემპიონატი ტაეკვონდოში სენაკში. (ხელ-ლი: ზ.სალუქვაძე) სადაც გამარჯვებულებმა მიიღეს ოთხი ოქროს, ერთ ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი.

21 აპრილი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ინგლისურ ენაში მოსწავლეებმა მოამზადეს ვიდეორგოლი თემაზე: „გახადე ყოველი დღე დედამიწის დღედ!“ (ხელ-ლი: თ.თუთბერიძე)

22 აპრილი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღია საწრეო მეცადინეობა (ხელ-ლი: ც.ბერეკაშვილი).

28 აპრილი - ბათუმში ჩატარდა კონფერენცია „სტოკჰოლმ+50“ რაშიც მონაწილეობა მიიღო ეკოლოგიის წრემ. (ხელ-ლი: ც.ბერეკაშვილი)

2 მაისი - ქ.ქუთაისში სასტუმრო „ბაგრატი“ ჩატარდა „ჰელფინგ-ჰენდის“ პროექტი „ჯანსაღ ცხოვრების წესის დამკვიდრება და პოპულარიზაცია“. ეკოლოგიის წრე (ხელ-ლი: ც.ბერეკაშვილი)

4 მაისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა გ.ტაბიძის საიუბილეო დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული სპექტაკლი „გალაკტიონის ქნარი“ (ხელ-ლი: ო.სვანაძე ხალხურ საკრავთა წრის ხელ-ლი: თეიმურაზ თევზაძე; ბალეტის წრის ხელ-ლი: ნათლა ცერცვაძე)

15 მაისი - ქ. მცხეთა ფესტივალი „ბროლის ცერი“ ბალეტის წრე (ხელ-ლი: ნ. ცერცვაძე)

16 მაისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა მათემატიკის წრის ღია საწრეო მეცადინეობა „პითაგორას თეორემა“ (ხელ-ლი: თ. ჩიხლაძე)

25 მაისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ლიტერატურული კომპოზიცია „გეგუთის ძელქვები“ (ხელ-ლი: ო.სვანაძე; ხალხურ საკრავთა წრე ხელ-ლი: თეიმურაზ თევზაძე)

1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქალაქო ღონისძიება ქ.წყალტუბოს პარკის მიმდებარე ტერიტორია. (ხელ-ლი: ხ.ბუაძე; ქ.ანდრიაძე; ნ.ცერცვაძე; ნ.ანთია; თ.თევზაძე; მ.იოსელიანი; რ. მარგიაანი; ს.ბაბიანი.)

5 ივნისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა გარემოს დაცვის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია ეკოლოგიის წრე (ხელ-ლი:ც. ბერეკაშვილი)

12 ივნისი - ოზურგეთში ჩატარდა ღია ჩემპიონატი ტაეკვონდოში (ხელ-ლი: ზ. სალუქვაძე) სადაც მოსწავლეებმა აიღეს ერთი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი.

13 ივნისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა მიუზიკლი „პრინცი ბაყაყი“ (ხელ-ლი: ქ.ანდრიაძე; ხ.ბუაძე; ნ.ცერცვაძე)

16 ივნისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა შემაჯამებელი ტესტირება ინგლისურ ენაში (ხელ-ლი: თ. თუთბერიძე).

21 ივნისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ლიტერატურული სპექტაკლი „ოდესდაც დიდი ყოფილა საქართველო“ (ხელ-ლი: ოქროპირ სვანაძე).

25 ივნისი - ქ. ქობულეთში ფესტივალ „ჰარირაში“ მონაწილეობა მიიღო ვოკალურმა წრემ ხელ-ლი: ხათუნა ბუაძე.

25 ივნისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა იმერეთის რეგიონის ტაეკვონდოს სპორტსმენთა ერთობლივი საკვალიფიკაციო ვარჯიში (ხელ-ლი: ზურაბ სალუქვაძე)

27 ივნისი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა პედაგოგიური საბჭოს სხდომა, სადაც წრის ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს ანგარიში გაწეული უშაობის შესახებ.

სამუსიკო სკოლა

სამუსიკო სკოლა მიზანმიმართულად ემსახურება განსაკუთრებული ნიჭით დაჯილოვებულ მოსწავლეთა აღზრდა-გამოვლენას. გარდა იმისა, რომ მოსწავლე აქ იღებს დაწყებით მუსიკალურ განათლებას, ვახდენთ მათ პოპულარიზაციას, რაც გამოიხატება მოსწავლეთა მონაწილეობით რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა ფესტივალ-კონკურსებში.

სამუსიკო სკოლაში მეორე სემესტრში სწავლობდა 140 მოსწავლე, აქედან 111 მოსწავლე. საფორტეპიანო, 19 მოსწავლე ვოკალურ და 10 მოსწავლე საორკესტრო განყოფილებაზე. სკოლა დაამთავრა წლის ბოლოს 15 მოსწავლემ. 3 მოსწავლე არ გამოცხადა გამოცდაზე მიეცა საშემოდგომო. 8 აპრილს მონაწილეობა მივიღეთ ქ. ქუთაისში თეორიულ კონფერენციაზე „თობათა ცვლა“ სკოლიდან მონაწილეობა მიიღო მე-6 კლასის მოსწავლემ მარიამ ჯურხაძემ (პედაგოგი დარეჯან კოვზირიძე) თემით „იტალიური მუსიკა“ მოსწავლე და პედაგოგმა დაიმსახურა დიპლომი.

15 აპრილს სკოლას სტუმრობდა ქ. თბილისიდან კონსერვატორიის პროფესორი ვატო ჟორდანიას, ჩატარდა კონცერტი მიძღვნილი უკრაინის ომთან დაკავშირებით. კონცერტის შემდეგ ჩატარდა მოსწავლეებთან მასტერ კლასი.

21 მაისს მივიღეთ მონაწილეობა სენაკი-2022 ის კონკურს- ფესტივალზე. კონკურსზე დაუკრა საფორტეპიანო განყოფილების 9 მოსწავლემ და ვოკალური განყოფილების ანსამბლმა 10 მოსწავლის შემადგენლობით. ყველა მოსწავლეს გადაეცა საპატიო დიპლომები, ვოკალურმა ანსამბლმა კი ლაურეატობა მოიპოვა და მიწვეულ იქნა გალა კონცერტზე, სადაც მოხდა სახელოვნებო სკოლების დაჯილდოება. აღნიშვნის ღირსია პედაგოგების ზეგანაკვეთური მუშაობა მოსწავლეებთან, რომლებიც წარმოჩინდნენ კონკურსზე, ესენია: ქ.რატიანი, ლ. ნამგალაძე, დ. ბაკურაძე, მ. შვანგირაძე, მ. გვარამია, ნ. მაჭარაძე, ზ. ავალიანი, ნ. ფანცხავა, მ. ბობოხიძე და კონცერტმასტერი თამარ ციბაძე, რომელმაც ჟიურის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა და დაჯილდოვდა საპატიო დიპლომით.

ბავშვთა დაცვის დღეს 1 ივნისს საქალაქო ზეიმზე სკოლა წარსდგა კლასიკური კონცერტით, მონაწილეობდნენ საფორტეპიანო, ვოკალური და საორკესტრო განყოფილების მოსწავლეები. კონცერტი გამოირჩეოდა მაღალი აკადემიურობით და მსმენელთა მოწონება დაიმსახურა.

7 ივნისს სკოლაში ჩატარდა პირველ კლასელთა ღია აკადემიური კონცერტი, ეს მათთვის დებიუტი იყო.

6 ივნისს ჩატარდა შემაჯამებელი კონცერტი, რომელშიც ყველა განყოფილების მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

20 ივნისს ჩატარდა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეთა გამოსამშვიდობებელი საღამო.

სამხატვრო სკოლა

მოგახსენებთ, რომ სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე არაერთი ნიჭიერი თაობა აღზარდა. სკოლის აღზრდილები დღეს პროფესიონალი მხატვრები არიან და ეწევიან შემოქმედებით მუშაობას.

სკოლაში ირიცხებოდა 117 მოსწავლე. მათ პროფესიულ განათლებას აზიარებს 7 კვალიფიციური პედაგოგი. თითოეული მათგანი ეწევა აქტიურ შემოქმედებით მუშაობას და სათანადოდ ზრუნავს სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის სწორად წარმართვაზე.

მოსწავლეები სამხატვრო სკოლაში ეუფლებიან ხელოვნების სხვადასხვა დარგებს: ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ქანდაკებას, დეკორატიულ კომპოზიციას და ხელოვნების ისტორიას.

სამხატვრო სკოლას აქვს ფონდები და საგამოფენო დარბაზები, რომელსაც ემსახურება 5 სპეციალისტი. მათ მიერ მუშავდება თემები გამოჩენილ მხატვართა „ცხოვრებისა და შემოქმედების“ შესახებ, რომელთაც თან

ერთვის ნამუშევრების ექსპონირება ფართო ეკრანზე რეფერატის სახით. ამასთანავე ხდება ქ. წყალტუბოში მცხოვრებ რეწვის ოსტატთა მოძიება. ნამუშევრების შეგროვება და ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა პოპულარიზაცია. სამხატვრო სკოლაში სისტემატიურად ტარდება საგაზაფხულო, საშემოდგომო და საშობაო გამოფენები. მათ შორის პერსონალური, თემატური და გასვლითი ღონისძიებები. სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ უცხოეთში გამართულ გამოფენა-კონკურსებში.

2022 წლის 14 იანვარს სამხატვრო სკოლაში გაიმართა მოსწავლეთა ნამუშევრების ონლაინ გამოფენა.

2022 წლის 14 თებერვალს სამხატვრო სკოლაში სიყვარულის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა თეორიული კონფერენცია.

2022 წლის 11 მარტს სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღო „პოლონეთის რესპუბლიკაში საერთაშორისო ფესტივალზე“ გამოფენა-კონკურსში.

2022 წლის 14 აპრილს სამხატვრო სკოლაში გაიმართა „დედა ენის დღისადმი“ მიძღვნილი მოსწავლეთა ნამუშევრების ონლაინ გამოფენა.

2022 წლის 15 აპრილს სამხატვრო სკოლაში ჩატარდა თეორიული კონფერენცია თემაზე: „ნოდარ ბანძელაძის ცხოვრება და შემოქმედება“(მოქანდაკე).

2022 წლის 27 აპრილს სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღო „თანამშრომლობა სუფთა გარემოსთან“ დედამიწის დრესთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართა პარკის ხეივანში გამოფენა-პლენერის სახით.

2022 წლის 18 მაისს მოეწყო გასვლითი გამოფენა „ეროვნული სამოსის დღისადმი“ მიძღვნილი.

2022 წლის 1 ივნისს ქ. ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ეროვნული ფესტივალის I ტური მონაწილეობა მიიღო ქ. წყალტუბოსა და მის რეგიონში მცხოვრებმა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების 22-მა რეწვის ოსტატმა.

2022 წლის 1 ივნისს მოეწყო გამოფენა ღია სივრცეში „ზავშეთა დაცვის დღისადმი“ მიძღვნილ ღონისძიებაზე.

2022 წლის 9 ივნისს მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების შემაჯამებელი და სადიპლომო ნახატების გამოფენა.

მოგახსენებთ, რომ 2022 წლის ექვს თვეში დაზუსტებული ხარჯები იყო 326384 ლარი. ათვისებულია - 288610,13 ლარი.

კერძოდ:

1. ხელფასები დამტკიცებულია – 267450 ლარი, ათვისებულია – 249637,89 ლარი;
2. მივლინება დამტკიცებულია-500 ლარი, ათვისებულია;
3. საკანცელარიო ხარჯი დამტკიცებულია – 1500 ლარი, ათვისებულია – 1300 ლარი;
4. ნორმატიული აქტები დამტკიცებულია – 500 ლარი, ათვისებულია;
5. მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა დამტკიცებულია – 3550 ლარი, ათვისებულია;
6. საოფისე ინვენტარის შეძენა დამტკიცებულია – 6000ლარი, ათვისებულია-4500 ლარი;
7. ოფისის მასალების შეძენა დამტკიცებულია – 2250 ლარი, ათვისებულია-2250 ლარი;
8. საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მიმდინარე რემონტის ხარჯი დამტკიცებულია 1000 ლარი, ათვისებულია-80 ლარი;

9. კავშირგაბმულობის ხარჯი დამტკიცებულია – 2750 ლარი, ათვისებულია – 1411,32ლარი; დაიხარჯა ადგილობრივ ტელეფონზე, ინტერნეტზე და ჯეოსელის მომსახურებაზე.
10. საფოსტო მომსახურების ხარჯი დამტკიცებულია-256 ლარი, ათვისებულია 160 ლარი;
11. კომუნალური ხარჯები დამტკიცებულია – 11520 ლარი, ათვისებულია - 11291,50 ლარი; დაიხარჯა ელ. ენერჯის და წყლის მომსახურებაზე;
12. ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი დამტკიცებულია – 2750 ლარი, ათვისებულია-2670 ლარი;
13. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ხარჯი დამტკიცებულია-444 ლარი, ათვისებულია 444 ლარი;
14. აუდიტორული მომსახურების ხარჯი დამტკიცებულია - 250 ლარი, ათვისებულია;
15. საარქივო მომსახურების ხარჯი დამტკიცებულია -700 ლარი, ათვისებულია;
16. შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი დამტკიცებულია - 1910 ლარი. ათვისებულია- 1350ლარი.
17. კულტურული ღონისძიებების ხარჯი დამტკიცებულია – 3700 ლარი, ათვისებულია-3700 ლარი;
18. ფინანსთა ასოციაციის საწევრო დამტკიცებულია-4000, ათვისებულია;
19. ელექტრონული დოკუმენტების ხარჯი დამტკიცებულია 554 ლარი, ათვისებულია 323,03 - ლარი.
20. სხვადასხვა მასალები (სამშენებლო ელექტრო გაყვანილობები და სხვა დამტკიცებულია - 1000ლარი, ათვისებულია-1000 ლარი;
21. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი დამტკიცებულია – 1000 ლარი, ათვისებულია 501,39 ლარი;
22. არაფინანსური აქტივების ზრდა დამტკიცებულია 12800 ლარი, ათვისებულია -7991 ლარი.

მომავალში „ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრის“ მთავარი საზრუნავი, კვლავ ბავშვებისა და ახალგაზრდების იდეური ფორმირება, მორალურ-ზნეობრივი სრულყოფა, სულიერი წრთობა, მათი ეროვნულ პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა იქნება. მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალური, სპორტული, სახვითი ხელოვნების ნიჭიერების უნარისა გამოვლენისა და განვითარებისათვის, მიზნად ვისახავთ კიდევ უფრო მეტი შემეცნებითი ახალი ღონისძიებების მომზადება-ჩატარებას, ახალი აქტივობების ძიებასა და სააღმზრდელო საქმიანობაში მათ პრაქტიკულ დანერგვას სახელმწიფო საგრანტო ახალი პროექტების მომზადებას.

ბუნებრივია კვლავ რჩება მთავარ პრიორიტეტად ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თანამედროვე ინვენტარით და ტექნიკით აღჭურვა, სამუსიკო და სამხატვრო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სასწავლო-სამეცადინო ოთახების, სააქტო და საგამოფენო დარბაზების კეთილმოწყობა, რაც შესაძლებელს გახდის ჩვენმა ქალაქმა უმასპინძლოს სხვადასხვა საბავშვო ფესტივალებს და კონკურსებს. მოხდეს მეტ გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.